განმარტებითი ბარათი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტზე
საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

2014 წლის 5 თებერვალს მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ (შემდგომში - კოდექსი). აღნიშნული კოდექსის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა არის მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, ხოლო თვითმმართველ ერთეულს კოდექსი უწოდებს მუნიციპალიტეტს, რომელსაც გააჩნია ორგანოები. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (შემდგომში - რეგლამენტი) საჭიროებს ტერმინოლოგიურად კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანას.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

წარმოდგენილი კანონპროექტის მომზადების მიზანია რეგლამენტის კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა. კოდექსის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა არის მოქალაქეთა უფლება და შესაძლებლობა, მათ მიერ არჩეული ორგანოების მეშვეობით, გადაწყვიტონ ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები. ადგილობრივი თვითმმართველობა ხორციელდება თვითმმართველ ერთეულში, ხოლო თვითმმართველი ერთეული კოდექსის შესაბამისად, არის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტს, როგორც დამოუკიდებელ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ჰყავს არჩევითი წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო და აღმასრულებელი ორგანოები, აქვს საკუთარი ბიუჯეტი და შემოსულობები. აქედან გამომდინარე, რეგლამენტში არსებული ტერმინები „თვითმმართველი ერთეული“, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები“, „ადგილობრივი თვითმმართველობა“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი“ შეიცვლება ტერმინებით - „მუნიციპალიტეტის ორგანოები“, „მუნიციპალიტეტი“ და „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტის შესაბამისად, ტერმინები „თვითმმართველი ერთეული“, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები“, „ადგილობრივი თვითმმართველობა“ და „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტი“ იცვლება ტერმინებით - „მუნიციპალიტეტის ორგანოები“, „მუნიციპალიტეტი“ და „მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი“, რითიც რეგლამენტი ტერმინოლოგიურად შესაბამისობაში მოვა კოდექსთან.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფასთან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ არის დაკავშირებული ფინანსურ შედეგებთან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი

კანონპროექტით არ დგინდება რაიმე სახის გადასახადი, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი შეესაბამება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებული ორმხრივი და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: ე. ტრიპოლსკი, კ. კოპალიანი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: ე. ტრიპოლსკი, კ. კოპალიანი.